KA2 - YOUTH ON STAGE

ოჯახი თუ სამსახური?

ფორუმ თეატრის სცენარი საქართველოსთვის

სცენა I - ნათიას ჩამოსვლა

ოჯახში იდილია სუფევს, მამა (თამაზი) ტელევიზორს მისჩერებია,დედა (დალი) სადილს ამზადებს , ვაჟი (ნოდო) კი ტელეფონით ერთობა.

- დალი: ტაქსს გამოუძახეთ? უკვე აქ უნდა იყოს
- ნოდო: კი გამოვუძახე..
- დალი: შეგილია ისევ დაურეკო და გადაამოწმო? იქნებ გადაავიწყდათ

კარზე კაკუნი ისმის:

- დალი: ნამდვილად? ნათიაა (ძალიან ბედნიერი სახით)
- დალიმ კარი გააღო და ნათია შემოდის ოთახში ძალიან ბედნიერი ეხუტება დედას, შემდეგ კოცნის ძმას და დიდი ხნის უნახავ მამას.
- დალი: როგორ იმგზავრე ძვირფასო? აი სადილიც დაგახვედრე , ყველაფერი გავაკეთე რაც შენ გიყვარს

ნათიამ ქურთუკი გაიხადა და მაგიდასთან დაჯდა.

- ნათია: რამაგარია სახლში დაბრუნება , ყველანი ძალიან მომენატრეთ
- დალი: მეც ძალიან მიხარია რომ დაბრუნდი, საკმარისია ამდენი სწავლა გადაიწყვები, დროა საკუთარი ოჯახი შექმნა
- ნათია: არაააა, ჯერ არ ვფიქრობ ოჯახის შექმნაზე, იმიტომ ვისწავლე ამდენი რო საკუთარი კარიერა შევქმნა და სახლში უსაქმურად ჯდომას არ ვაპირებ. მოდი ახლა ამაზე საუბარი არ გვინდა. ახლახანს დავბრუნდი და ძალიან მომენატრეთ.

სცენა 2 - ნათია ეძებს სამსახურს

ნათია და ნოდო ოთახში არიან, ნოდო მობილურით შეყვარუბულს წერს , ნათია კი ძალიან მოტივირებული ეძებს სამსახურს. მათ შორის დიალოგია.

- ნოდო: რას შვები დაიკო?
- ნათია: სამსახურს ვეძებ
- ნოდო: რაა? სამსახურს?
- ნათია: ხოო სამსახურს, რომელიც შენ არასოდეს არ გქონია, საერთოდ წარმოდგენა თუ გაქვს რას ნიშნავს ეგ სიტყვა?
- ნოდო: ხოო, დაახლოებით. რა აზრი აქვს არ მჭირდება.
- ნათია: რატომ? მთელი ცხოვრება მშობლების ხარჯზე აპირებ ცხოვრებას? მემგონი "ტეხავს" არაა?
- ნოდო: მოკლედ , რას ითხოვენ მაგ სამსახურში აბა მომიყევი..
- ნათია: ისინი ეძებენ პროექტ მენეჯერს კომპანია GRICOM-ში.სამი ენის ცოდნა , მაგისტრატურა დამთავრებული, იდეალური კომუნიკაციის და პრეზენტაციის ნიჭი.ასევე ანგარიშების წერა და ფინანსური საკითხების მოგვარება. ვფიქრობ ამ ყველაფერს შევძლებ.
- ნოდო: რااااა?!.... მეღადავები??..
- ნათია: რატომ?
- ნოდო: სუპერგმირის ვაკანასიაა თუ რა ხდება. რამდენი რამის ცოდნაა საჭირო!
- ნათია: ნოდო მომისმინე..
- ნოდო: არაა , მე გავედი , პაემანი მაქვს. აბა წარმატებებს გისურვებ, ნადვილად ჩემზე მეტად დაგჭირდება დღეს შენ იღბალი.

სცენა 3 - სამსახურის გასაუბრება

ნათია მიდის რომ გაიაროს გასაუბრება სამსახურის თაობაზე და ხვდება თენგოს მისაღებში.ირკვევა რომ თენგოც ამავე გასაუბრებაზეა მოსული რაც ძალიან გაუკვირდა ნათიას, მაგრამ ის ძალიან მოტივირებულია და მზად არის გასაუბრება წარმატებულად გაიაროს. ზურა არის კომპანია GRIKO'ს მენეჯერი

კარზე კაკუნი.

- ზურა:მობრძანდით. დაბრძანდით. თქვენ ბრძანდებით ვინ?.....
- თენგო: გამარჯობა მე თენგო ვარ.
- ზურა: თენგო მომიყევით თქვენს შესახებ, თქვენი პროფესიის შესახებ და რითი შეიძლება თქვენი მუშაობა ჩვენთან იყოს სასარგებლო კომპანიისთვის?
- თენგო: იცით მე მაყვალას შვილი ვარ.
- ზურა: უკაცრავად?
- თენგო: მაყვალა, მაყვალს შვილი ვარ
- ზურა: ააა, მაყვალა... როგორ არის? მომიკითხეთ აუცილებლად.
- თენგო: მადლობთ კარგად არის, მოგიკითხათ დიდი სიყვარულით.
- ზურა: მე და დედათქვენს ძალიან დიდი ისტორია გვაკავშირებს, არც კი ვიცოდი ამხელა ბიჭი თუ ჰყავდა. ჩათვალეთ, რომ ჩვენთან მუშაობთ.
- თენგო: მადლობთ, ნახვამდის.

კარზე კვლავ კაკუნია

- ზურა: მობრძანდით..
- ნათია: გამარჯობა.
- ზურა: გამარჯობა.
- ნათია: გასაუბრებაზე ვარ.
- ზურა: გასაუბრებაზე?
- ნათია: დიახ. მე გავეცანი ვაკანსიას და ვფიქრობ ყველა კომპონენტს ვაკმაყოფილებ. მე ვიყავი პროექტ მენეჯერის ასისტენტი ორი წლის განმავლობაში ბელგიაში სწავლის დროს.
- ზურა: ვფიქრობ იდეალური კანდიდატურა ხართ ჩვენთვის, მაგრამ ეს ადგილი უკვე დაკავებულია. ვწუხვარ...
- ნათია: კი მაგრამ..?.?
- ზურა: ძალიან ვწუხვარ...

სცენა 4 - ოჯახური დილემა

ნათია სახლში ბრუნდება.
ძალიან გაბრაზებულია რაც გასაუბრებაზე მოხდა იმასთან დაკავშირებით. ნოდო და თამაზი ტელევიზორს უყურებენ. დალი კი სამზარეულოში ფუსფუსებს.
- ნათია: ჰაჰაჰა, იცით რამოხდა დღეეს??! თენგო,"თენგო" მაყვალას შვილი მიიღეს სამსახურში, რომელზეც მე მქონდა განაცხადი შევსებული. იდიოტი თენგო, რომელმაც ორჯერ ორი არ იცის რამდენიაა, საერთოდ რა ხდება ამ ქვეყანაში?!.. საერთოდ რატომ ჩამოვედი....
- ნოდო: ჰაჰა, კი მაგრამ რატომ ხარ გაბრაზებული ვიღაცის მონა რომ არ იქნები მაგაზე?
- დალი: ნუ დარდობ საყვარელო , მე ყოველთვის უკეთესი მინდოდა შენთვის. შექმენი ოჯახი , ვერც კი წარმოიდგენ რა ბედნიერი ვიქნები როდესაც ბებო გავხდები.
კარზე კაკუნი.
ყველამ ერთმანეთს შეხედა უკმაყოფილო სახით. ალბათ მაყვალაა. (მეზობელი, თენგოს დედა) მაყვალა შემოდის სახლში.
- მაყვალა : უიი, ნათია!! ჩამოხვედი !! (კოცნის ნათიას და მაგიდას მიუსხდნენ)
- ნათია: კი , ერთი კვირის წინ.
- მაყვალა დალის მიუტრიალდა და ებნება:
- მაყვალა: დალი იცი თენგოს სამსახური ვუშოვე.
- დალი: კი გავიგე, გილოცავ
- მაყვალა: ქალო თენგოს ისევ მოსწონს ნათია , ხო არ გავურიგოთ ერთმანეთს?
- ნათია: ციიიით!!! ყველაფერი მესმის !! შეგიძლიათ ჩემზე არ ილაპარაკოთ ჩემი თანდასწრებით?
- დალი: წესიერად მოიქეცი! არაფერს ცუდს არ ვამბობთ. შენი დამსახურებაა რო მთელს სანათესაოში და სამეზობლოში ყველა ჩვენზე ჭორაობს, მეკითხებიან ლესბოსელი ხომ არ არისო? როდის თხოვდებაო? საერთოდ ვერ ვცნობთ მაგ ევროპის მერეო, დედობა არუნდაო?მე კი ვცდილობ ამ კითხვებზე ვუპასუხო რო ცდებიან, ჩვენზე ძალიან ცუდად ფიქრობს ყველა.
- ნათია: საქართველოში იმიტო ჩამოვედი რო თქვენ მთხოვეთ მიუხედავად იმისა, რომ ბელგიაში უკეთესი მომავალი მქონდა. აქ, იმიტომ არ ჩამოვსულვარ რომ ბავშვი გამეჩინა. ძალიან ბევრი ვიშრომე და ვისწავლე რო წარმატებული კარიერა შევიქმნა.
- თამაზი: შეეშვით ბავშვს რაა!! თვითონ გადაწყვეტს ყველაფერს..
დალი: ეხლავე შეწყვიტე, თუ ასე გააგრძელებ ჩემი შვილი აღარ იქნები , ასე რომ გადაწყვიტე ან ოჯახი შექმენი ან და შენს ოჯახს პატივი ეცი ან წადი!!!!

CHARACTERS

ნოდო



ნოდო არის 24 წლის ახალგაზრდა, რომელმაც ეხლახანს დაამთავრა უნივერსიტეტი. არავითარი სურვილი არ აქვს, რომ დასაქმდეს. მას მშობლები ამარაგებენ ჯიბის ფულით და თავს მშვენივრად გრძნობს, ერთობა მეგობრებთან ერთად ყოველდღე, ჰყავს შეყვარებული და უქმად ფლანგავს დროს მშობლების ფულის ხარჯვაში.

თამაზი

თამაზი არის 45 წლის დაოჯახებული კაცი, რომელსაც ჰყავს ვაჟი და ქალიშვილი. ის ყოფილი პოლიციელია. მთავრობის შეცვლის შემდეგ ვეღარ პოულობს სამსახურს, რადგან ის წინა ხელისუფლებას ემსახურებოდა. ფიზიკურ სამუშაოზე კი არ თანხმდება მისი სიამაყის გამო.

ზურა

ზურა არის მენეჯერი კომპანიისა, რომელიც რამოდენიმე წლის წინ დაარსდა. ის ძალიან მოტივირებულია, რომ მისი კომპანია წარმატებული იყოს, მაგრამ სამსახურში ახლობლების აყვანა სჩვევია.

CHARACTERS

ნათია

ნათია არის 23 წლის გოგო რომელსაც სურს შექმნას კარგი კარიერა. ის ძალიან მონდომებული იყო ესწავლა და ბელგიის ერთ-ერთ საუკეთესო უნივერსიტეტში ჩააბარა. 23 წლისას მას ჰქონდა ბაკალავრი კომუნიკაციაში და მაგისტრის ხარისხი მენეჯმენტში. ის დაბრუნდა საქართველოში, რომ ოჯახთან ახლოს ყოფილიყო, რადგანაც ტრადიციულ ოჯახში გაიზარდა.
ამჟამად ის დილემის წინაშე დგას. მას უნდა იყოს წარმატებული ადამიანი და აგრეთვე უნდა იყოს ოჯახთან ახლოს, ამიტომაც გადაწყვიტა შექმნას კარიერა საქართველოში.

დალი

დალი არის ოჯახის დიასახლისი. მას განათლება არასოდეს მიუღია, მაგრამ გააკეთა ყველაფერი იმისთვის რომ შვილებს მიეღოთ განათლება და ყველას ეთქვა რომ მას განათლებული შვილები ჰყავდა. მას არ მოსწონდა მისი შვილი ნათია საზღვარგარეთ, რომ სწავლობდა რადგან გოგო ბოლოს მაინც უნდა გათხოვდეს და ჰგონია ნათია დროს კარგავს.იმიტომ, რომ თვითონ როდესაც გათხოვდა მთელი სიცოცხლე ოჯახს მიუძღვნა და ნათიასგანაც იგივეს მოითხოვს. ის ძალიან მეოჯახე ქალია და მარტივად ექცევა გარშემომყოფების (ნათესავების , მეზობლების) ზეგავლენის ქვეშ, რაც ძალიან ხშირი შემთხვევაა საქართველოში.

Erasmus+